

ပေါမ်းမြန်မာနိုင်ငြခဲ့

მაია რუსია,
ერისთინე გიორგაძე,
მიხეილ გვერდითელი

ქიმიის საფუძვები



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემობა

ქიმიის საფუძვლების მოკლე კონსპექტი განკუთვნილია სახელმ-მძღვანელოდ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბაკა-ლავრიატის I კურსის სტუდენტებისათვის. მასში წარმოდგენილია ქი-მიის სანციისბი, რომელთა შესწავლის საფუძველზე სტუდენტი შეძ-ლებს გაეცნოს ქიმიის სპეციურსებს: ზოგადი ქიმია, არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ანალიზური ქიმია. წიგნი წარმოადგენს ქიმიის სკოლის კურსში შესწავლილი მასალის გამეო-რების და გარკვეული გაღრმავების მცდელობას.

რედაქტორი
რეცენზენტი

პროფ. ნ. ლეკიშვილი
პროფ. რ. კუბლაშვილი

ავტორები მადლობას უხდიან ბატონ ბ ა ჩ ა ნ ა ფ ი ჩ ხ ხ ა ი ს
ნიგნზე მუშაობისას განეული დახმარებისათვის

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISBN 978-9941-13-162-2

შ ი ნ ა ა რ ს ი

1.	ზოგადი ქიმია -----	7
1.1.	ქიმიის საგანი -----	7
1.2.	ქიმიის ძირითადი ცნებები -----	7
1.3.	სტექიომეტრიის ძირითადი კანონები -----	12
1.4.	არაორგანული ნაერთების ძირითადი კლასები	13
1.5.	ქიმიური რეაქციები და მათი მიმდინარეობის საკვანძო საკითხები -----	23
1.6.	ატომის აღნაგობა -----	30
1.7.	ქიმიური ბმები -----	38
1.8.	ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები -----	44
1.9.	ხსნარები -----	50
1.10.	ელექტროლიტური დისოციაციის თეორია -----	51
1.11.	რეაქციის იონური და შეკვეცილი იონური განტოლებები -----	53
2.	ქიმიური ელემენტები და მათი ნაერთები -----	55
2.1.	წყალბადი -----	55
2.2.	ქლორი -----	58
2.3.	ჟანგბადი -----	61
2.4.	გოგირდი -----	63
2.5.	აზოტი -----	67
2.6.	ნატრიუმი -----	71
2.7.	ალუმინი -----	73
2.8.	კალციუმი -----	75

3.	ორგანული ნაერთები -----	77
3.1.	ალკანები -----	79
3.2.	ალკენები -----	81
3.3.	ალკინები -----	84
3.4.	არენები -----	86
3.5.	ალკანოლები -----	88
3.6.	ალკანალები -----	90
3.7.	ალკანმჟავები -----	92
	ლიტერატურა -----	95

1. ზოგადი ქიმია

1.1. ქიმიის საგანი

ქიმია მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ნივთიერებებს, მათ გარდაქმნებს და ამ გარდაქმნების თანმხლებ მოვლენებს.

არსებობს რამოდენიმე შეხედულება ტერმინის – „ქიმია“ ნარმომავლობის შესახებ:

1. „ქიუმი“ – ნიშნავს როგორც ძველ ეგვიპტეს, ასევე შავმინა ნიადაგს (ნილოსის ადიდების შემდეგ ნიადაგი შავი შლამით იფარებოდა);
2. „ქიმ“ – ძველჩინურად ნიშნავს ოქროს;
3. „ქიმეფრის“ – შერევა – ძველბერძნულად.

1860 წ. მარსელენ ბერთლომ განაცხადა: „ქიმია თავად ქმნის თავის კვლევის ობიექტს“. მართლაც, დღეისათვის არსებული 13 მილიონამდე ნაერთიდან, დაახლოებით 90% ლაბორატორიებშია მიღებული. დღესდღეობით არსებობს ქიმიის დაახლოებით 120 განხრა, მათ შორის ისეთი უახლესი, როგორიცაა: მათემატიკური ქიმია, კომპიუტერული ქიმია, ლაზერული ქიმია და ა.შ. მათ შორის ძირითადია: ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური და ფიზიკური ქიმია.

1.2. ქიმიის ძირითადი ცნებები

ზოგჯერ მოლეკულას ელემენტის სიმბოლოთი აღვნიშნავთ: ფოსფორი აღინიშნება P-სიმბოლოთი (ასე აღინიშნება თეთრი ფოსფორი – P₄ და ალოტროპული პოლიმერული მოდი-

ფიკაციაც – P_n). ზემოაღნიშნული ეხება აგრეთვე იონურ კრისტალურ ნაერთებს: არ არსებობს KCl , Na_2SO_4 , მყარ მდგომარეობაში ისინი ერთიანი კრისტალებია, ხსნარებში – სოლვატირებული იონები.

ცხრილი 1

ზოგიერთი მნიშვნელოვანი ქიმიური ელემენტის რიგობრივი ნომერი, ფარდობითი ატომური მასა, ვალენტობა

ელე- მენტი	Z	Ar	Val	ელე- მენტი	Z	Ar	Val
H	1	1	1	Si	14	28	4
Cl	17	35,5	1,3,5,7	Na	11	23	1
O	8	16	2	K	19	39	1
S	16	32	2,4,6	Ca	20	40	2
N	7	14	2,3,4,5	Al	13	27	3
P	15	31	3,5	Fe	26	56	2,3
C	6	12	4				

ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა


დედამიწის პირობებში ნივთიერება არსებობს ოთხ აგრეგატულ მდგომარეობაში: აირადი, თხევადი, მყარი და პლაზმური. სამყაროში არსებობს განსაკუთრებული ზემდგომარეობა – ნეიტრონული მდგომარეობა, რომელიც რეალიზდება ნეიტრონულ ვარსკვლავებში. ეს ვარსკვალავები 25-30 კმ-ის დიამეტრის სფეროებია, მაგრამ მათი მასა მზის მასაზე მეტია. ამ ნივთიერების 1 см^3 იწონის 15 მილიარდ ტონას.

ელემენტის უნარს, ბუნებაში იარსებოს რამდენიმე მარტივი ნივთიერების სახით, **ალოტროპია** ეწოდება.

არსებობს O-ს ორი ალოტროპული მოდიფიკაცია: O_2 – უანგბადი და O_3 – ოზონი.

C-ის ალოტროპული მოდიფიკაციებია: ალმასი, გრაფიტი, კარბინი, გრაფინი და ფულერენი.

P-ს ბევრი (11) ალოტროპული მოდიფიკაცია აქვს: მათ შორის მნიშვნელოვანია: თეთრი, ნითელი და შავი (პოლიმერული) ფოსფორი.



P₄ თეთრი ფოსფორი (ტეტრაედრული მოლეკულა)

არსებობს კალას ორი ალოტროპული მოდიფიკაცია – თეთრი და რუხი. თეთრ კალას მეტალების მირჩილვისათვის იყენებენ, რუხი კალა კი რბილი, ფხვიერი ნივთიერებაა. მკაცრი ზამთრის პირობებში, ძალიან დაბალ ტემპერატურაზე, თეთრი კალა თავისთავად გარდაიქმნება რუხ კალად. ეს გახდა 1912 წელს სამხრეთ პოლუსზე ინგლისელი მოგზაურის სკოტის ექსპედიციის დაღუპვის მიზეზი. თეთრი საწვავი, რომელიც ექსპედიციამ თან წაიღო, კალით მირჩილულ ჭურჭელში იყო ჩასხმული. ძლიერი ყინვის გავლენით თეთრი კალა რუხ კალად გარდაიქმნა, ჭურჭელი დაიშალა და საწვავი დაიღვარა.

რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ მეტია მოცემული ელემენტის ატომის საშუალო მასა ნახშირბადის ¹²C იზოტოპის ატომის მასის 1/12 ნაწილზე, **ფარდობითი ატომური მასა (Ar)** ეწოდება. ამ ერთეულს ზოგჯერ დალტონს უწოდებენ.

რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ მეტია მოცემული ნივთიერების მოლეკულის საშუალო მასა ნახშირბადის ¹²C იზოტოპის ატომის მასის 1/12 ნაწილზე, **ფარდობითი მოლეკულური მასა (Mr)** ეწოდება.

მასური ნილი ფ: H₂SO₄,

$$\text{Mr}(\text{H}_2\text{SO}_4) = 98 = 1 \cdot 2(\text{H}) + 32(\text{S}) + 4 \cdot 16(\text{O})$$

$$\omega(\text{H}) = 2/98; \omega(\text{s}) = 32/98; \omega(\text{O}) = 64/98$$

მოლი SI სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ერთეულია. მოლი არის ნივთიერების ის რაოდენობა, რომელიც შეიცავს მოცემული ნივთიერების იმდენსავე სტრუქტურულ ნაწილაკს, რამდენი ატომიცაა 0.012 კგ ^{12}C იზოტოპში. ამ რიცხვს **ავოგადროს რიცხვი ენოდება** – N_A

$$N_A = 6,02 \cdot 10^{23}$$

ერთნაირი ატომგულის მუხტის მქონე ატომებს **ქიმიური ელემენტი** ენოდება.

ერთი სახის ქიმიური ელემენტისაგან შემდგარ ნივთიერებას **მარტივი ნივთიერება** ენოდება; ორი და მეტი ელემენტისაგან შემდგარს – **რთული ნივთიერება**.

მოლეკულის შედგენილობას, ჩაწერილს ელემენტების სიმბოლოებით და ინდექსებით **ქიმიური ფორმულა** ენოდება. ქიმიური ფორმულებით ჩაწერილ ქიმიურ რეაქციას კი **ქიმიური ტოლობა**.

ელემენტის ატომის უნარს შეიერთოს მეორე ელემენტის ატომების გარკვეული რიცხვი **ვალენტობა** ენოდება.

ელემენტის ვალენტობის მიხედვით ქიმიური ფორმულის შედგენა

A_YB_X – ბინარული ნაერთი



ელემენტის ვალენტობის განსაზღვრა ფორმულის მიხედვით


$$A_Y B_X \quad V_A = \frac{V_B \cdot X}{Y}; \quad V_B = \frac{V_A \cdot Y}{X};$$

$$N_2O_5 \quad V_N = \frac{2 \cdot 5}{2} = 5$$

არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგ.:


$$Fe_3O_4 \quad V_{Fe} = \frac{8}{3} = 2\frac{2}{3}, \text{ რაც არარეალურია.}$$

სინამდვილეში, $Fe_3O_4 = FeO \cdot Fe_2O_3$



ე. ი. რკინის ორი ატომი სამვალენტიანია, ერთი – ორვალენტიანი.

CaC_2 -ში ფორმულის მიხედვით ან Ca არის 8 ვალენტიანი, ან C – ერთვალენტიანი. სინამდვილეში Ca ორვალენტიანია და C – ოთხვალენტიანი. ნახშირბადატომებს შორის დამყარებულია სამშაგი პმა:




ე. ი. ზოგჯერ საჭიროა გრაფიკული ფორმულის დაწერა, რომელიც წარმოაჩენს ატომთა შეერთების მიმდევრობას მოლეკულაში და, აქედან გამომდინარე, ელემენტების ვალენტობას.

სტრუქტურული ფორმულები

სტრუქტურული ფორმულა გადმოსცემს მოლეკულის რეალურ გეომეტრიას (სივრცულ აღნაგობას).

$\text{Fe}(\text{CO})_5$ – რკინის პენტაკარბონილი წარმოადგენს ბიპირამიდას:



1.3. სტექიომეტრიის ძირითადი კანონები

მასის მუდმივობის კანონი (ლომბონსოვი, ლავუაზიე)

ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერებათა მასა, რეაქციის შედეგად წარმოქმნილ ნივთიერებათა მასის ტოლია.

შედგენილობის მუდმივობის კანონი (პრუსტი)

მოლეკულური სტრუქტურის მქონე ნაერთების შედგენილობა მუდმივია, მათი მიღების ხერხისგან დამოუკიდებლად.

მუდმივი შედგენილობის ნივთიერებებს დალტონიდები ეწოდებათ. ცვლადი შედგენილობის ნაერთებს კი ბერთოლიდები ($\text{TiO}_{0,7}$, $\text{TiO}_{1,3}$).

ავოგადროს კანონი


სხვადასხვა აირის ტოლი მოცულობები ერთნაირ ფიზიკურ პირობებში (ტემპერატურა, წნევა) მოლეკულათა თანაბარ რიცხვს შეიცავს.

შედეგები

1) ნებისმიერი აირის ერთი მოლი ერთნაირ ფიზიკურ პირობებში იკავებს ერთსა და იმავე მოცულობას. თუ პირობები ნორმალურია (273 K და $101,3\text{ kPa}$ წნევა), ეს მოცულობა დაახლოებით $22,4\text{ l}$ -ის ტოლია.

2) აირად მდგომარეობაში მყოფი ნივთიერებების მოლური მასა წყალბადის მიმართ მისი სიმკვრივის გაორკეცებული სიდიდის ტოლია.




1.4. არაორგანული ნაერთების ძირითადი კლასები



ოქსიდები


ორი ელემენტის (ბინარულ) ნაერთს, რომელთაგან ერთ-ერთი ჟანგბადია **ოქსიდი** ეწოდება.

ოქსიდების გრაფიკული ფორმულები




მიღება

1) მარტივი ნივთიერების ურთიერთქმედებით ჟანგბადთან






არამუტალი მყავა ოქსიდი






მეტალი ფუძე ოქსიდი

2) რთული ნივთიერების ურთიერთქმედებით ჟანგბადთან



3) ზოგიერთი რთული ნივთიერების დაშლით





ფუძე ოქსიდები

ოქსიდს, რომელიც ურთიერთქმედებს მუავასთან მარილის და წყლის წარმოქმნით, **ფუძე ოქსიდი** ეწოდება.

თვისებები

- 1) $\text{CuO} + \text{H}_2\text{SO}_4 \rightarrow \text{CuSO}_4 + \text{H}_2\text{O}$
 $\text{FeO} + 2\text{HCl} \rightarrow \text{FeCl}_2 + \text{H}_2\text{O}$
- 2) $\text{CaO} + \text{H}_2\text{O} \rightarrow \text{Ca(OH)}_2$
 $\text{Na}_2\text{O} + \text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{NaOH}$
- 3) $\text{MgO} + \text{SO}_3 \rightarrow \text{MgSO}_4$
 $\text{CaO} + \text{SiO}_2 \rightarrow \text{CaSiO}_3$

მუავა ოქსიდები





ოქსიდს, რომელიც ურთიერთქმედებს ტუტესთან, მარილისა და წყლის წარმოქმნით, **მუავა ოქსიდი** ეწოდება.

თვისებები

- 1) $\text{CO}_2 + 2\text{NaOH} \rightarrow \text{Na}_2\text{CO}_3 + \text{H}_2\text{O}$
 $\text{SO}_2 + \text{Ca}(\text{OH})_2 \rightarrow \text{CaSO}_3 + \text{H}_2\text{O}$
- 2) $\text{CO}_2 + \text{CaO} \rightarrow \text{CaCO}_3$
 $\text{Na}_2\text{O} + \text{SO}_3 \rightarrow \text{Na}_2\text{SO}_4$
- 3) $\text{P}_2\text{O}_5 + 3\text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{H}_3\text{PO}_4$
 $\text{SO}_3 + \text{H}_2\text{O} \rightarrow \text{H}_2\text{SO}_4$

ამფოტერული ოქსიდები


ოქსიდებს, რომლებიც ავლენენ როგორც ფუძე, ისე მჟავა ან მეტალის თვისებებს, ამფოტერული ოქსიდები ეწოდებათ (ამ-ფოტერული ოქსიდებია: ZnO, Al₂O₃, Cr₂O₃ და სხვ.).






ჰიდროქსიდები (ფუძეები)

რთულ ნივთიერებას, რომელიც შედგება მეტალის ატო-მისა და ჰიდროქსილის ერთი ან რამოდენიმე ჯგუფისაგან ფუძე ეწოდება.

M(OH)_n, n ნატურალური რიცხვია და ტოლია მეტალის ვა-ლენტობის.



გრაფიკული ფორმულები




ჰიდროქსიდები იყოფა ორ ჯგუფად: ნყალში ხსნადი (ტუ-ტეები) და ნყალში უხსნადი (ფუძეები).

მიღება

ტუტების:

- 1) $2\text{Na} + 2\text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{NaOH} + \text{H}_2$
 $\text{Ca} + 2\text{H}_2\text{O} \rightarrow \text{Ca}(\text{OH})_2 + \text{H}_2$
- 2) $\text{Na}_2\text{O} + \text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{NaOH}$
 $\text{CaO} + \text{H}_2\text{O} \rightarrow \text{Ca}(\text{OH})_2$
- 3) $2\text{NaCl} + 2\text{H}_2\text{O} \xrightarrow{\text{ელექტროლიზაცია}} 2\text{NaOH} + \text{H}_2 + \text{Cl}_2$

გუდების:




თვისებები

- 1) $\text{NaOH} + \text{HCl} \rightarrow \text{NaCl} + \text{H}_2\text{O}$
 $\text{Cu}(\text{OH})_2 + 2\text{HNO}_3 \rightarrow \text{Cu}(\text{NO}_3)_2 + 2\text{H}_2\text{O}$
- 2) $2\text{NaOH} + \text{FeCl}_2 \rightarrow \text{Fe}(\text{OH})_2 \downarrow + 2\text{NaCl}$
 $2\text{KOH} + \text{CuCl}_2 \rightarrow \text{Cu}(\text{OH})_2 \downarrow + 2\text{KCl}$
- 3) $2\text{NaOH} + \text{CO}_2 \rightarrow \text{Na}_2\text{CO}_3 + \text{H}_2\text{O}$
 $\text{Ca}(\text{OH})_2 + \text{SO}_2 \rightarrow \text{CaSO}_3 + \text{H}_2\text{O}$
- 4) $\text{Cu}(\text{OH})_2 \xrightarrow{t^0} \text{CuO} + \text{H}_2\text{O}$
 $\text{Fe}(\text{OH})_2 \xrightarrow{t^0} \text{FeO} + \text{H}_2\text{O}$

ამფოტერული ჰიდროქსიდებია: $\text{Zn}(\text{OH})_2$, $\text{Al}(\text{OH})_3$, $\text{Cr}(\text{OH})_3$ და სხვ.

- 1) $\text{Zn}(\text{OH})_2 + 2\text{HCl} \rightarrow \text{ZnCl}_2 + 2\text{H}_2\text{O}$
 $\text{Zn}(\text{OH})_2 + 2\text{NaOH} \rightarrow \text{Na}_2[\text{Zn}(\text{OH})_4]$
ნატრიუმის ტეტრაჰიდროქსოცინკატი
- 2) $\text{Al}(\text{OH})_3 + 3\text{HCl} \rightarrow \text{AlCl}_3 + 3\text{H}_2\text{O}$
 $\text{Al}(\text{OH})_3 + 3\text{NaOH} \rightarrow \text{Na}_3[\text{Al}(\text{OH})_6]$
ნატრიუმის ჰექსაჰიდროქსოალუმინატი

ამფოტერულ ჰიდროქსიდებში, მაგ. $\text{Zn}(\text{OH})_2$ -ში $\text{Zn}-\text{O}$ და $\text{O}-\text{H}$ ბმები დაახლოებით ერთნაირი სიმტკიცისაა:



ფუძეების მოქმედება ინდიკატორებთან




ფუძეები ისტერ ლაკმუსს ალურჯებენ;
უფერო ფენოლფტალეინს – უოლსფრად ფერავენ;
მეთილნარინჯს – აყვითლებენ.

მჟავები

რთულ ნივთიერებას, რომელიც შედგება მეტალის ატომით ჩანაცვლების უნარის ქქონე ერთი ან რამდენიმე წყალბად-ატომისაგან და მჟავური ნაშთისაგან **მჟავა** ეწოდება.




შედგენილობის მიხედვით მჟავები იყოფა ჟანგბადიან (HNO_3 , H_2SO_4) და უჟანგბადო (HCl , H_2S) მჟავებად.

გრაფიკული ფორმულები










მიღება

- 1) $\text{H}_2 + \text{Cl}_2 \rightarrow 2\text{HCl}$
- 2) $\text{H}_2 + \text{S} \rightarrow \text{H}_2\text{S}$
- 2) $\text{SO}_2 + \text{H}_2\text{O} \rightleftharpoons \text{H}_2\text{SO}_3$



თვისებები



მუაკების მოქმედება ინდიკატორებთან

ისაფერო ლაკმუსი – წითლად იფერება; მეთილნარინჯი – ვარდისფრად; ფენოლფტალეინი – ფერს არ იცვლის.

მარილები










როულ ნივთიერებას, რომელიც შედგება მეტალის ატო-
მებისა და მჟავური ნაშთებისაგან მარილი ენოდება (ეს არის სა-
შუალო ანუ სრული მარილის განმარტება). გარდა ამისა არსე-
ბობს: მჟავა მარილი (NaHCO_3), ფურე მარილი $\text{Mg}(\text{OH})\text{Cl}$ და სხვ.

ცხრილი 2

ძირითადი მჟავები და მათი მარილები

HF	ფორმულბადმჟავა	NaF	ფორმიდი
HCl	ქლორწყალბადჟავა (მარილმჟავა)	NaCl	ქლორიდი
HBr	ბრომწყალბადმჟავა	NaBr	ბრომიდი
HI	იოდწყალბადმჟავა	NaI	იოდიდი
H ₂ S	გოგირდწყალბადმჟავა	Na ₂ S	სულფიდი
H ₂ SO ₃	გოგირდოვანი მჟავა	Na ₂ SO ₃	სულფიტი
H ₂ SO ₄	გოგირდმჟავა	Na ₂ SO ₄	სულფატი
HNO ₂	აზოტოვანი მჟავა	NaNO ₂	ნიტრიტი
HNO ₃	აზოტმჟავა	NaNO ₃	ნიტრატი
H ₂ CO ₃	ნახშირმჟავა	Na ₂ CO ₃	კარბონატი
H ₂ SiO ₃	სილიციუმმჟავა	Na ₂ SiO ₃	სილიკატი
H ₃ PO ₄	ფოსფორმჟავა	Na ₃ PO ₄	ფოსფატი

გრაფიკული ფორმულები:



მარილების ფორმულების შედგენა

I. მჟავა ერთფუძიანია – HX (HCl, HNO_3)

$\begin{array}{c} \text{I} & \text{I} \\ \text{M} & \text{X} \\ \text{II} & \text{I} \\ \text{M} & \text{X}_2 \\ \text{III} & \text{I} \\ \text{M} & \text{X}_3 \end{array}$	NaCl	NaNO ₃	
	CaCl ₂	Ca(NO ₃) ₂	
	AlCl ₃	Al(NO ₃) ₃	

II. მჟავა ორფუძიანია – H_2X ($\text{H}_2\text{S}, \text{H}_2\text{SO}_4$)

$\begin{array}{c} \text{I} & \text{II} \\ \text{M}_2 & \text{X} \\ \text{II} & \text{II} \\ \text{M} & \text{X} \\ \text{III} & \text{II} \\ \text{M}_2 & \text{X}_3 \end{array}$	Na ₂ S	Na ₂ SO ₄	
	CaS	CaSO ₄	
	Al ₂ S ₃	Al ₂ (SO ₄) ₃	


III. მჟავა სამფუძიანია – H_3X (H_3PO_4)

$\begin{array}{c} \text{I} & \text{III} \\ \text{M}_3 & \text{X} \\ \text{II} & \text{III} \\ \text{M}_3 & \text{X}_2 \\ \text{III} & \text{III} \\ \text{M} & \text{X} \end{array}$	Na ₃ PO ₄	
	Ca ₃ (PO ₄) ₂	
	AlPO ₄	

ამრიგად, MX აღნაგობა მარილს იმ შემთხვევაში აქვს, თუ მეტალისა და მჟავური ნაშთის ვალენტობები ერთნაირია.

მარილების მიღების მეთოდები

1. $\text{HCl} + \text{NaOH} \rightarrow \text{NaCl} + \text{H}_2\text{O}$
2. $2\text{HCl} + \text{CuO} \rightarrow \text{CuCl}_2 + \text{H}_2\text{O}$
3. $2\text{HCl} + \text{Zn} \rightarrow \text{ZnCl}_2 + \text{H}_2\uparrow$



5. $2\text{NaOH} + \text{CO}_2 \rightarrow \text{Na}_2\text{CO}_3 + \text{H}_2\text{O}$
6. $2\text{NaOH} + \text{CuCl}_2 \rightarrow \text{Cu}(\text{OH})_2 \downarrow + 2\text{NaCl}$
7. $\text{CO}_2 + \text{CaO} \rightarrow \text{CaCO}_3$
8. $\text{CaCO}_3 + \text{SiO}_2 \xrightarrow{\text{t}} \text{CaSiO}_3 + \text{CO}_2 \uparrow$
9. $\text{NaCl} + \text{AgNO}_3 \rightarrow \text{AgCl} \downarrow + \text{NaNO}_3$
10. $\text{CuSO}_4 + \text{Fe} \rightarrow \text{FeSO}_4 + \text{Cu}$
11. $2\text{KClO}_3 \rightarrow 2\text{KCl} + 3\text{O}_2 \uparrow$
12. $\text{Fe} + \text{S} \rightarrow \text{FeS}$

მარილების ქიმიური თვისებები

4,6,8,9,10 და 11 რეაქციები წარმოადგენენ მარილების ქიმიურ თვისებებს.

გენეტიკური კავშირი რთულ ნივთიერებათა კლასებს შორის

არამეტალი	მეტალი	მეტალი
S	SO_2	H_2SO_3
+	+	+
Ca	CaO	$\text{Ca}(\text{OH})_2$
მეტალი	ფუძე მეტალი	ფუძე
\downarrow	\downarrow	\downarrow
CaS	CaSO_3	CaSO_3
მარილი	მარილი	მარილი



1.5. ქიმიური რეაქციები და მათი მიმდინარეობის საკვანძო საკითხები

მოვლენებს, რომელთა მიმდინარეობის დროსაც იცვლება ნივთიერების ფორმა ან მისი აგრეგატული მდგომარეობა (მინის გატეხვა, წყლის აორთქლება ან გაყინვა) **ფიზიკური მოვლენები** ეწოდება.




მოვლენებს, რომელთა დროს ადგილი აქვს ერთი ნივთიერების სხვა ნივთიერებად გარდაქმნას, **ქიმიური მოვლენები** ანუ ქიმიური რეაქციები ეწოდება.

არაორგანულ ქიმიაში რეაქციები იყოფა ოთხ ძირითად ტიპად: შეერთების, დაშლის, ჩანაცვლების და მიმოცვლის რეაქციები.




შეერთების ეწოდება რეაქციებს, როდესაც ორი ან მეტი ნივთიერებისაგან მიიღება ერთი ახალი ნივთიერება:




დაშლის ეწოდება რეაქციებს, როდესაც ერთი ნივთიერებისაგან მიიღება ორი ან მეტი ახალი ნივთიერება:



ჩანაცვლების ეწოდება რეაქციებს, რომელთა დროს მარტივი ნივთიერების ატომები ჩანაცვლებენ ატომებს რთული ნივთიერების შემადგენლობაში:




მიმოცვლის ენოდება რეაქციებს, რომელთა დროს ორი რთული ნივთიერება მიმოიცვლება შემადგენელი ნაწილებით:




რეაქციის სითბური ეფექტი

რეაქციის შედეგად შთანთქმულ ან გამოყოფილ სითბოს რაოდენობას რეაქციის სითბური ეფექტი ეწოდება. იგი იზომება კჯ/მოლ-ში. ქიმიურ განტოლებებს, სადაც მოყვანილია რეაქციის სითბური ეფექტის რიცხობრივი მნიშვნელობები, **თერმოქიმიური განტოლებები** ეწოდება.

რეაქციებს, რომლის შედეგად გამოიყოფა სითბო, **ეგზო-თერმული რეაქციები** ეწოდება:



რეაქციებს, რომლის შედეგად შთანთქმება სითბო, **ენდო-თერმული რეაქციები** ეწოდება:




(რეაქციის სითბოს – Q-ს და რეაქციის ენთალპიას – ΔH-ს საპირისპირო ნიშნები გააჩნია, ე.ი. +Q შეესაბამება -ΔH-ს, -Q შეესაბამება +ΔH-ს).

ქიმიური რეაქციის სიჩქარე


სიჩქარე განისაზღვრება, როგორც გარკვეული პარამეტრის ცვლილება დროში. თანაბარი მოძრაობის სიჩქარე ტოლია: $V=S/T$. ამ დროს იცვლება სხეულის მიერ გავლილი მანძილი. რეაქციის პროცესში იცვლება კომპონენტების კონცენტრაცია – რეაგენტების (რეაქციაში შესული ნივთიერებების) კონცენტრაცია მცირდება, რეაქციის პროდუქტების კონცენტრაცია იზრდება.

$$A \rightarrow B$$

$$V = \frac{C_2 - C_1}{t_2 - t_1} = \frac{\Delta C}{\Delta t}$$



$$V = -\frac{C_2 - C_1}{t_2 - t_1} = -\frac{\Delta C}{\Delta t}$$



(„-“ ნიშანი იწერება იმიტომ, რომ $C_2 < C_1$, ხოლო უარყოფით სიჩქარეს ფიზიკური აზრი არა აქვს).

მყისიერი სიჩქარე ტოლია:


$$v = \lim_{\Delta t \rightarrow 0} \frac{\Delta C}{\Delta t} = \frac{dC}{dt}$$

რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია: 1) რეაგენტების ბუნებაზე; 2) კონცენტრაციაზე; 3) ტემპერატურაზე; 4) კატალიზატორზე.

რეაგენტის ბუნება

ჰალოგენები უშუალოდ უანგბადთან არ მოქმედებენ. ჰალოგენების წყალბადთან მოქმედების სიჩქარე მცირდება რიგში: F_2 , Cl_2 , Br_2 , I_2 .

კონცენტრაცია



k- რეაქციის სიჩქარის მუდმივაა.

მოქმედ მასათა კანონი: ქიმიური რეაქციის სიჩქარე მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნამრავლის პროპორციულია.

ტემპერატურა

ვანტ-ჰოფის პრინციპი: ტემპერატურის ყოველი 10 გრადუსით გაზრდისას რეაქციის სიჩქარე იზრდება 2-4-ჯერ.

γ-ტემპერატურული კოეფიციენტი ტოლია:

$$\gamma = \frac{K_{T+10}}{K_T} \quad 2 \leq \gamma \leq 4$$

უფრო უნივერსალურია არენიუსის განტოლება:

$$k = A \exp\left(-\frac{E_a}{RT}\right)$$




A – ექსპონენტასწინა მამრავლია, E_a – აქტივაციის ენერგია.

აქტივაციის ენერგია ის მინიმალური ენერგიაა, რომელიც უნდა გააჩნდეთ რეაგენტებს რათა მათი ურთიერთქმედება (შეჯახება) რეაქციით დასრულდეს.


კატალიზატორები

ნივთიერებებს, რომლებიც ცვლიან ქიმიური რეაქციის სიჩქარეს, თვითონ კი რეაქციის შედეგად უცვლელნი რჩებიან, კატალიზატორები ეწოდებათ. კატალიზატორებს, რომლებიც აჩქარებენ ქიმიურ რეაქციებს, დადგებითი კატალიზატორები (ექსიბიტორები) ეწოდებათ, ხოლო კატალიზატორებს, რომლებიც ანელებენ ქიმიურ რეაქციებს – უარყოფითი კატალიზატორები (ინჰიბიტორები).

კატალიზის სქემა:



რეაქციის გზა



რეაქციის გზა (დადებითი კატალიზატორი)

დადებითი კატალიზატორები აქტივაციის ბარიერს (ენერგიას) ორ უფრო დაბალ ბარიერად შლიან.

ნივთიერებებს, რომლებიც თავად არ წარმოადგენენ რეაქციის კატალიზატორებს, მაგრამ მათი თანაობისას კატალიზატორების აქტიურობა იზრდება, **პრომოტორები** ეწოდებათ.


ნივთიერებებს, რომლებიც აქვეითებენ კატალიზატორების აქტიურობას, **კატალიზური შხამები** ეწოდებათ, პროცესს კი – **კატალიზატორის მონამვლა**.

შექცევადი რეაქციები. ქიმიური ნონასწორობა

რეაქციები ორი ტიპისაა: შექცევადი და შეუქცევადი.

შეუქცევადი რეაქციები მიმდინარეობს ბოლომდე, მხოლოდ ერთი მიმართულებით.

შექცევადი რეაქციები ერთსა და იმავე პირობებში მიმდინარეობს როგორც პირდაპირი, ისევე შებრუნებული (საპირისპირო) მიმართულებით და გარკვეულ მომენტში მყარდება ქიმიური ნონასწორობა:



$$v_1 = k_1 [A]^a [B]^b \quad (\text{პირდაპირი} - \text{მარცხნიდან მარჯვნივ});$$

$$v_2 = k_2 [D]^d [E]^e \quad (\text{შებრუნებული} - \text{მარჯვნიდან მარცხნივ}).$$


ნონასწორობის მომენტში $v_1 = v_2$; $k_1 [A]^a [B]^b = k_2 [D]^d [E]^e$,

$$\text{საიდანაც } K = \frac{k_1}{k_2} = \frac{[D]^d [E]^e}{[A]^a [B]^b}.$$

K-ს ნონასწორობის ძუღმივა ენერგება და ტოლია პირდაპირი და შებრუნებული რეაქციების სიჩქარეების მუდმივების ფარდობისა.


ქიმიური ნონასწორობა დინამიკურია – მისი დამყარება იმას კი არ ნიშნავს, რომ სისტემაში მიმდინარე რეაქციები შეწყდა, არამედ იმას, რომ მიმდინარეობს ორი საპირისპირო რეაქცია ტოლი სიჩქარით, რის გამოც (ნონასწორობის დამყარების შემდეგ) არც ერთი რეაქტანტის კონცენტრაცია აღარ იცვლება.

მოძრავი ნონასწორობის პრინციპი (ლე-შატელიეს პრინციპი): თუ ნონასწორობაში მყოფ სისტემაზე მოქმედებს რაიმე გარეშე ფაქტორი, რომელიც მას არღვევს, სისტემაში აღიძვრება ისეთი პროცესი, რომელიც ამ ფაქტორის მოქმედების საპირისპირო იქნება მიმართული (მოკლედ, სისტემა ცდილობს აღადგინოს დარღვეული ნონასწორობა).



$$K = \frac{k_1}{k_2} = \frac{[NH_3]^2}{[N_2] \cdot [H_2]^3}.$$

ამიაკის გამოსავლის გაზრდისათვის ოპტიმალურია მაღალი წნევა (ოთხი მოცულობა გადადის ორში) და დაბალი ტემპერატურა (რეაქცია მარცხნიდან მარჯვნივ ეგზოთერმულია).



ამიაკის სინთეზის რეალურ ტექნოლოგიურ პროცესში წნევას მაღალს იყენებენ, მაგრამ ტემპერატურაც მაღალია საჭირო, რადგან E_a მაღალია და დაბალ ტემპერატურაზე პროცესი არ წარიმართება. ტემპერატურის მაქსიმალურად შესაძლო შემცირებისათვის იყენებენ სხვადასხვა კატალიზატორს.

1.6. ატომის აღნაგობა

პირველი მოსაზრებები ატომის აღნაგობაზე ეკუთვნის ფინკიელ მოაზროვნეს მოხა სიდონელს (XII საუკუნე ჩვ. წ. აღ.-მდე). ატომისტური წარმოდგენების ელემენტებს ვხვდებით ძველ ინდოეთში, ვაიშემიკას სკოლის დამფუძნებლის, ფილოსოფოს კანადის მოძღვრებაშიც.

მხოლოდ ძველ საბერძნეთში, ფილოსოფოსების, ლევკი-პოსისა და დემოკრიტეს მოძღვრებაში (VI-V საუკუნეები ჩვ. წ. აღ.-მდე), ატომისტურმა წარმოდგენებმა ჩამოიშორა მისტიკურ-რელიგიური ელფერი და შეიძინა მეცნიერული ჰიპოთეზის სახე.

მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხერხდა ატომისტური ჰიპოთეზის ექსპერიმენტული დამტკიცება. ატომურ-მოლეკულური მოძღვრება მოიცავს შემდეგ ძირითად დებულებებს:

1. ნივთიერება შედგება მოლეკულებისაგან;
2. მოლეკულები შედგება ატომებისაგან;
3. ატომები და მოლეკულები მუდმივ ქაოსურ მოძრაობაშია;
4. ატომები ქიმიური რეაქციის დროს არ იშლებიან;
5. ქიმური რეაქციის მიმდინარეობისას იშლებიან მოლეკულები, რომელთა შემადგენელი ატომებისაგან ახალი მოლეკულები წარმოიქმნება.

XIX საუკუნის ბოლოს მთელი რიგი ექსპერიმენტული აღმოჩენა (ელექტრონი, რენტგენის სხივები, რადიოაქტიურობა და სხვ.) ცალსახად მიანიშნებდა ატომის რთულ აღნაგობაზე. დადგენილ იქნა, რომ ატომი შედგება დადებითი მუხტის მქონე

მძიმე ატომგულისაგან და მის გარშემო მოძრავი მსუბუქი ელე-
ქტრონებისაგან.

ატომის სტრუქტურის ფუნდამენტური შესწავლა შესაძ-
ლებელი გახდა მიკროსამყაროს მექანიკის – კვანტური მექანი-
კის საშუალებით. კვანტური მექანიკის ძირითადი განტოლებაა
შრედინგერის განტოლება:

$$H\Psi = E\Psi$$

რომლის ამოხსნის შედეგად მიღებულ მათემატიკურ გამო-
სახულებებში ფიგურირებენ გარკვეული პარამეტრები ე. ნ.
კვანტური რიცხვები, რომლებიც განსაზღვრავენ ელექტრო-
ნის სხვადასხვა შესაძლო მდგომარეობას ატომში. კვანტური
რიცხვები ახასიათებენ ელექტრონების ორბიტალებს – ე. ნ.
ატომურ ორბიტალებს.

ატომური ორბიტალი წარმოადგენს ელექტრონის მოძ-
რაობის სამგანზომილებიან ტრაექტორიას – ატომგულის გარ-
შემო სივრცის ნაწილს, სადაც ელექტრონის ყოფნის ალბათობა
მაქსიმალურია.

არსებობს ოთხი კვანტური რიცხვი: n – მთავარი, l – თანა-
ური, m – მაგნიტური და s – სპინური.

n – მთავარი კვანტური რიცხვი ახასიათებს ორბიტალის
ენერგიას (ელექტრონის ენერგიას მოცემულ ორბიტალზე). იგი
იღებს მნიშვნელობებს ნატურალურ რიცხვთა სიმრავლიდან:



K L M N O P Q

$n = 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 \dots$

l – თანაური (ორბიტალური) კვანტური რიცხვი ახასია-
თებს ორბიტალის ფორმას. იგი იღებს მნიშვნელობებს ნული-
დან ($n-1$)-მდე:

$$\begin{aligned} l &= 0, 1, 2, 3, \dots, (n-1) \\ &\text{s p d f} \end{aligned}$$

s-ორბიტალი სფერულია, p-ორბიტალი – ჰანტელისებური (მოცულობითი რვიანის ფორმის), d- და f-ორბიტალებს შედარებით რთული აღნაგობა აქვთ.



m-მაგნიტური კვანტური რიცხვი ახასიათებს ორბიტალის ორიენტაციას სივრცეში. იგი იღებს მნიშვნელობებს $-l$ -დან $+l$ -მდე. მაგ.: $l = 2; m = -2; -1; 0; +1; +2$.

s-სპინური კვანტური რიცხვი ახასიათებს ელექტრონის მოძრაობის საკუთარ მომენტს (თვალსაჩინოებისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ როგორც დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო და აგრეთვე საკუთარი ღერძის გარშემო, ელექტრონიც ანალოგიურადაა). იგი იღებს ორ მნიშვნელობას: $+1/2$ და $-1/2$.

ატომის ელექტრონული სტრუქტურის ასაგებად საჭიროა **პაულის აკრძალვის პრინციპის** გათვალისწინება: ატომში არ არსებობს ორი ისეთი ელექტრონი, რომელთაც ოთხივე კვანტური რიცხვი ერთნაირი აქვთ. ქვემოთ მოყვანილია კვანტური

რიცხვების ყველა შესაძლო კომბინაცია $n=1$ და $n=2$ შემთხვევისათვის:















$n = 1$	$l = 0$	$m = 0$	$s = + \frac{1}{2}$	}	$1s^2$	(He)
$n = 1$	$l = 0$	$m = 0$	$s = - \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 0$	$m = 0$	$s = + \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 0$	$m = 0$	$s = - \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 1$	$m = +1$	$s = + \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 1$	$m = +1$	$s = - \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 1$	$m = 0$	$s = + \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 1$	$m = 0$	$s = - \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 1$	$m = -1$	$s = + \frac{1}{2}$			
$n = 2$	$l = 1$	$m = -1$	$s = - \frac{1}{2}$			


არსებობს ზოგადი ფორმულა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მთავარი კვანტური რიცხვის (n) მნიშვნელობას და კვანტური რიცხვების ყველა შესაძლო კომბინაციას (N):

$$N=2n^2$$


ქვემოთ მოყვანილია პერიოდული სისტემის პირველი და მეორე პერიოდის ელემენტების ელექტრონული სტრუქტურები. ელემენტის ელექტრონული სტრუქტურის შედგენისას გასათვალისწინებელია ორი მომენტი:

- მინიმალური ენერგიის პრინციპი,** რომლის მიხედვით ელექტრონები ჯერ ავსებენ უმდაბლესი ენერგიის მქონე ორბიტალებს, შემდეგ-მომდევნოებს. ქვემოთ მოყვანილია ორბიტალები მათი ენერგიის ზრდის მიხედვით: $1s < 2s < 2p < 3s < 3p \dots$
- ჰუნდის ნები,** რომლის მიხედვით ერთნაირი ენერგიის ობიტალებზე ჯერ განლაგდება თითო-თითო ელექტრონი, ამის შემდეგ მოხდება მეორე ელექტრონის განლაგება საპირისპირო სპინით.






ვალენტობის სპინური თეორიის თანახმად, ელემენტის ვალენტობა მისი გაუწყვილებელი სპინების რიცხვის ტოლია. ამ თვალსაზრისით, He და Ne ნულვალენტიანია (ყველა სპინი განყვილებულია), H, Li და F – ერთვალენტიანია, N – სამვალენტიანია, O – ორვალენტიანი. მიღებული დასკვნა სრულიად ეთანხმება არსებულ ექსპერიმენტულ მონაცემებს. რაც შეეხება Be, B და C-ს, ამ შემთხვევაში ხდება $2s$ განყვილებული ელექტრონებიდან ერთ-ერთის ვაკანტურ 2p-ზე გადასვლა და ნარმოიქმნება ე. ნ. ელემენტის სავალენტო (აღგზნებული) კონფიგურაცია. რის გამოც, მათი ვალენტობებიც გაიზრდება და, შესაბამისად, 2-ის, 3-ის და 4-ის ტოლი გახდება, რაც ეთანხმება რეალობას:



მესამე პერიოდის ელემენტებს გააჩნიათ ვაკანტური $3d$ -ორბიტალები, რაც მათ საშუალებას აძლევთ უფრო მაღალი (მეორე პერიოდის ელემენტებთან შედარებით) ვალენტობა გამოავლინონ. ასე მაგალითად, გოგირდი გარდა ორის ტოლი ვალენტობისა, ავლენს ოთხ და ექვსვალენტობას:



ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონების გადასვლის ხარჯზე ელემენტის ვალენტობის გაზრდა შეიძლება მხოლოდ მთავარი კვანტური რიცხვის (n -ის) შეცვლის გარეშე (ერთი და იგივე n -ის ფარგლებში).

ატომგულის აღნაგობა


ატომგული შედგება პროტონებისა და ნეიტრონებისაგან. პროტონის მუხტია +1, ნეიტრონის მუხტი არ გააჩნია – იგი ელექტრონების მუხტია 0.

არსებობს ორი ფორმულა, რომელიც ატომის სტრუქტურას აკავშირებს ელემენტის რიცხვის ნომერთან (Z) და მასურ რიცხვთან (M). მასური რიცხვი ეწოდება ელემენტის ატომურ მასასთან ყველაზე ახლოს მდგომ მთელ რიცხვს და მისი დადგენა შეიძლება რიცხვის დამრგვალების კანონების გათვალისწინებით.


$$\begin{aligned}\sum p^+ &= \sum e^- = Z \\ \sum n^0 &= M - Z\end{aligned}$$

იზოტოპები ქიმიური ელემენტის სახესხვაობებია, რომელთაც ატომბირთვის ერთნაირი მუხტი აქვთ, მაგრამ მასებით განსხვავდებიან, რაც ატომბირთვებში ნეიტრონების რიცხვის განსხვავებით არის გამოწვეული.

წყალბადს გააჩნია სამი იზოტოპი: პროთოუმი ${}_1^1H$ (P), დეიტერიუმი ${}_1^2H$ (D) და ტრიტონუმი ${}_1^3H$ (T). ქვემოთ მოყვანილია ამ იზოტოპების ბირთვების შედგენილობა:



უანგბადს გააჩნია სამი იზოტოპი:



Ծუնցեბաში արևելյալո ქիմիուրո ելեմենտեბու սմեքըսօծա, Տեղագածեցա օթոգութեա նարեցա Եարմուացցենք. Կոնցուլուա Ռամո- գենոմյ մոռնոնցուլութո – ծუնցեբաშո յրտո օթոգութեա սակուտ ար- ևելյալո ելեմենտո – ^9Be , ^{19}F , ^{23}Na դա Տեց.



1.7. ქիմիուրո ծմեքո

Արևելյալս կիմիուրո ծմեքո Շեմացցո սակեցեա: Օռնուրո, Կոզա- լյանցուրո, Եպալձագուրո դա մեթալուրո.

Օռնուրո ծմեք

Օռնեցս Շորուս դամպարեցուլ կիմիուր Կավშուրո օռնուրո ծմա յնոցցեա.


Ճանչութեալու օռնուրո ծմեքո նարմոյմնա NaF -ու Շեմացցու- ցաշո:




Ես Տյեմա յրտարեա յուսելու մուսանցրեաս, Ռոմ ծմեքո նար- մոյմնուսաս ագոմեքո „Հաջուկություն“ նարմոյմնան րազալեյքիրոնունո

ბოლო შემთხვევაში, რადგან ასეთი ელექტრონული კონფიგურაცია შედარებით სტაბილურია (ნერტული აირების ანალოგიურია).

იონური ნაერთები წარმოქმნიან იონურ კრისტალურ მესერს, რომლის კვანძებში განლაგებულია იონები:




ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „იონური მოლეკულა“ (მაგ.: NaF) არ არსებობს. მყარ მდგომარეობაში გვაქვს ერთიანი „სუპერმოლეკულა“ – კრისტალი, ხსნარში კი – გამხსნელის მოლეკულებით სოლვატირებული (წყალხსნარის შემთხვევაში – ჰიდრატირებული) Na^+ და F^- -იონები:



მხოლოდ პლაზმის მდგომარეობაშია დაფიქსირებული NaF ინდივიდუალური სახით.



კოვალენტური ბმა

ელექტრონული წყვილების საშუალებით დამყარებულ ქიმიურ კავშირს კოვალენტური ბმა ეწოდება.




კოვალენტური ბმა ორი ქვეტიპისაა: არაპოლარული და პოლარული. ზემოთ მოყვანილი მაგალითები მიეკუთვნება არა-პოლარულ ქიმიურ ბმას. ბმა არაპოლარულია, თუ მისი წარმომქმნელი ელემენტების ატომების ელექტროუარყოფითობა ერთნაირია (კერძო შემთხვევაა, ერთნაირი ატომებისაგან წარმოქმნილი მარტივი ნივთიერებები). **ელექტროუარყოფითობა** ეწოდება ელემენტის ატომის უნარს თავისკენ გადაწიოს ბმის წარმომქმნელი ელექტრონული წყვილი.


პოლარული კოვალენტური ბმის შემთხვევაში, ელექტრონული წყვილი გადაწეულია უფრო ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომისაკენ:



ორბიტალური კონცეფციის პოზიციიდან, კოვალენტური ბმა წარმოიქმნება ატომური ორბიტალების გადაფარვის შედეგად:





ატომური ორბიტალებიდან მოლეკულური ორბიტალების წარმოქმნის სქემა ასეთია:







ჰიბრიდიზაცია

sp – ნეტივური, დიაგონალური




sp^2 – ტრიგონალური






კოვალენტური ბმის წარმოქმნის დონორულ-აქცეპტორული მექანიზმი

არსებობს კოვალენტური ბმის წარმოქმნის განსხვავებული მექანიზმი, როდესაც ბმა წარმოიქმნება მხოლოდ ერთი ელე-
მენტის ატომის თავისუფალი ელექტრონული წყვილის ხარჯზე:



A-ატომს ელექტრონული წყვილის დონორი ეწოდება, B-
ატომს – აქცეპტორი.




წარმოქმნილ ამონიუმის იონში ოთხივე N-H ბმა ეკვივა-
ლენტურია.

წყალბადური ბმა


დონორულ-აქცეპტორული ტიპის სამცენტრიან სუსტ ქიმიურ კავშირს წყალბადსა და ძლიერი ელექტროუარყოფითი ელემენტების (F, O, N, Cl, S) ატომებს შორის წყალბადური ბმა ენოდება.

წყალბადური ბმა ორი ტიპისაა:

მოლეკულარათაშორისი




და შიდამოლეკულური



მეტალური ბმა

მეტალურ კრისტალურ მესერში, მეტალის კატიონებს შორის, თავისუფალი ელექტრონების საშუალებით დამყარებულ მრავალცენტრიან ქიმიურ კავშირს მეტალური ბმა ენოდება:



ამ ბმის ბუნებითაა გამოწვეული მეტალის ისეთი თვისებები, როგორიცაა: ელექტროგამტარობა, სითბოგამტარობა, ბზინვარება და ა. შ.

კრისტალური მესრები

არსებობს ოთხი ტიპის კრისტალური მესერი: მეტალური, იონური, ატომური და მოლეკულური. შესაბამისად, მათ კვანძებში მოთავსებულია: მეტალები, იონები, ატომები, მოლეკულები.


